ექვს წლამდე ბავშვებში ხმოვანთა ჩამოყალიბების დინამიკა

მარიკა იშხანოვა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ლობჟანიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

''როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს , რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად''

მარიკა იშხანოვა

22. 06. 2018

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ბავშვების მეტყველებაში ხმოვანთა ჩამოყალიბების პროცესი. წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორის მიერ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა. კომპიუტერული ანალიზის საფუძველზე აღწერიალია თითოეული ხმოვნის მახასიათებელი. მოცემულია ხმოვანთა შესაძლო თავისებურებები ასაკობრივი და გენდერული თანაფარდობის გათვალისწინებით. განსაზღვრულია ქართველი ბავშვის ხმოვნებში ხმოვნობის ხარისხი. აღწერილია რიგი ფონეტიკური პროცესები, რომელებიც აღნიშნული ასაკის ბავშვებში შეინიშნა.

კვლევაში განხილული საკითხი აქტუალურია ენათმეცნიერებისათვის, რამდენადაც აღნიშნული საკითხი ენის სფეროს მოიცავს. ასევე, იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მუშაობენ ბავშვებში ენისა და მეტყველების დარღვევის შემთხვევებზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფონეტიკა, ფონოლოგია, ხმოვანთა არტიკულაციური მახასიათებლები, ხმოვანთა აკუსტიკური მახასიათებლები, ბავშვის მეტყველების თავისებურებები.